

ლიტერატურა და ხელოვნება

1991 წ. №1

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის
ინსტიტუტი

„მეცნიერება“

1991

კულტურის თეორია

ბესარიონ ჯორბენაძე

ენა, საზოგადოება, ერი

ენა ის თვალსაწიერია, რომლითაც სამყაროს შეცნობა იწყება.

მასშია კონცენტრირებული ყოველივე ის, რაც საუკუნეთა მანძილზე ერს შეუქმნია და მემკვიდრეობით გადაუცია თაობიდან თაობაზე.

თითქოსდა საგანგებო მტკიცება არ უნდა იმას, თუ რას ნიშნავს ჩვენთვის ენა, მაგრამ ეს მხოლოდ გრძნობიერი ცოდნაა, ყოველი გრძნობიერი კი ინტუიციურია, მერყევი და არა გააზრებული, მდგრადი.

თითქოსდა იმთავითვე ვიცით, ვინა ვართ, რომელ ერს ვეკუთვნით და ესეც ქვეცნობიერი ცოდნაა მხოლოდ.

წარსულის მრავალი ფილოსოფოსი, პოლიტიკოსი და მეცნიერი დამშვრალა იმის გასარკვევად, რა არის ენა და რას უნდა ეწოდოს ერი.

ნათელი პასუხი დღესაც არა ჩანს.

გ. ქიქოძის ცნობილი გამონათქვამის პერიფრაზირება რომ მოვახდინოთ, როგორც ენა არ არის ბგერათა უბრალო ჯამი, ასევე ერი მეტია, ვინემ ადამიანთა უბრალო კრებული. ერი ერთობლიობაა, ხოლო ერთობლიობას თავისი კანონზომიერება ახასიათებს, ზოგი ის ნიშან-თვისება აქვს, რომელიც დამოუკიდებელია მისი შემადგენელი ცალკეული ელემენტებისაგან. ჩვენს შემთხვევაში ეს ნიშნავს, რომ ერის არსებობა მის შემადგენელ პიროვნებათა ნება-სურვილზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ, პირიქით, ეროვნული ერთიანობა,

#6#

მთლიანობა განსაზღვრავს ცალკეულ პიროვნებათა ნებასა და მოქმედებას. თუ ეს მიმართება ირღვევა, მაშინ არა მხოლოდ ეროვნული თვითშეგნებას ემუქრება

საფრთხე, არამედ ცალკეული პირის ბედიც ტრაგიკული, საბედისწერო ხდება — მიუხედავად შესაძლებელი დროებითი წარმატებისა, საბოლოოდ იგი მაინც განწირულია დასაღუპად, რადგან ეს რღვევა იწვევს მის სულიერ გადაგვარებას, მისი ფსიქიკის ნგრევას, რაც, ჩვეულებრივ, პიროვნების სრული განადგურებით მთავრდება.

ყველა ის ნიშან-თვისება, რომელიც ერის განსაზღვრაში შემოაქვთ ხოლმე, ზედნაშენია ძირითადისა, არსებითისა — ეროვნული თვითშეგნებისა, ეროვნულობის შეგრძნებისა, თუ გნებავთ, ეროვნული მსოფლგაგებისა, რაც მატერიალურად, გარეგნულად ენით ვლინდება.

ამის გამო აცხადებდა ილია ჭავჭავაძე ერის უპირველეს ნიშნად ენას. ამ შემთხვევაში იგი ვ. ჰუმბოლდტის კონცეფციას ემყარება: „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული ენაა. ამიტომაც ტლანქი ხელი უმეცარის მოხელეობისა ყველაზეც უწინარეს ენას მისწვდება“.

უდაო ჭეშმარიტებაა.

ცნობილია: ეროვნულობაზე იერიშის მიტანა ყოველთვის ეროვნული ენის ხელყოფით იწყებოდა, რადგან სწორედ ენის დაკარგვა ხდებოდა საფუძველი ეროვნული გადაგვარებისა.

„ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხო“ — საგანგებოდ აღნიშნავდა ილია.

ენა განაპირობებს კულტურის უწყვეტობას.

თუკი ჩვენ უძველესი ქართული კულტურის მემკვიდრეებად ვგრძნობთ თავს, ამის მიზეზი ერთიანი ქართული ენის მქონებლობაა. ამის გარეშე ეს კულტურა სისხლ-ხორეული კი არ იქნებოდა ჩვენთვის, არამედ ისევე შეძენილი, შემდგომ შეთვისებული, როგორც სხვა ერების სულიერი მონაპოვარი. ენამ განსაზღვრა ჩვენი

ერთიანობა, ენამ დააკავშირა ერთმანეთთან წარსული და აწმყო, ენა განაპირობებს სულიერ ნათესაობას მომავალთან.

#7#

ენა კაცობრიობის ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარია.

სწორედ ენით შეძლო კაცობრიობამ ამაღლებულიყო თავის ინსტიტუტებზე და აქტიურად ჩაერთო თავის შემოქმედებით განვითარებაში ცნობიერება. ამან კი, თავის მხრივ, საფუძველი დაუდო ყოველივე იმის შექმნას, რასაც ცივილიზაცია მოიცავს.

სამყარო ჩვენ გვეძლევა ისეთად, როგორადაც გვაწვდის მას ჩვენი დედაენა. ყოველი ენა განსხვავებული მსოფლხედვაა, აღნიშნავდა ვ. ჰუმბოლდტი; ყოველი ახალი ენის შესწავლა ახალი მსოფლხედვის შეძენას ნიშნავს. ეს იმიტომ, რომ არსებობს ენობრივი სინამდვილე, განსხვავებული მატერიალური სინამდვილისაგან. მარტივი მაგალითები ადვილად წარმოაჩენენ ამას. მატერიალურ სამყაროში არსებობს შვიდფერა რკალი, რომელიც ჩნდება მზის მოპირდაპირე მხარეს წვიმის წვეთებში მზის სხივების გარდატეხით. ესაა იბიექტური მონაცემი, მაგრამ ქართული ენობრივი სინამდვილისათვის იგი ცის სარტყელია, „ცისარტყელა“, ინგლისურისათვის — „წვიმის მშვილდი“ (rainbow) და ა.შ. მატერიალურ სამყაროში დედამიწა ბრუნავს მზისა და თავისი ღერძის გარშემო, მცენარე აღმოცენებულია, ენობრივი სინამდვილის მიხედვით კი მზე ამოდის და ჩადის, ხე დგას, ანუ მზესა და ხეს სულიერის თვისებები აქვს მინიჭებული. რელურად არ არსებობს მავნე და სასარგებლო მცენარეები, ყველას თავისი დანიშნულება აქვს ბუნებაში, მაგრამ ადამიანის პოზიცია სხვაგვარია და ეს პოზიცია ენობრივი სინამდვილით ვლინდება: ენაში არსებობს მცენარეთა იმგვარი კლასიფიკაცია, რაც ბუნებისათვის არ არის ნიშანდობლივი: სარეველა, კულტურული მცენარეები და მისთ. მთელი ესთეტიკური და ეთნიკური სისტემა მხოლოდ ენით ისხამს ხორცს, მხოლოდ ენის საშუალებით არსებობ მშვენიერი, ამაღლებული, ტრაგიკული... აშკარაა, რა ღარიბი, მხოლოდ

ბუნებრივ ინსტიტუტებს დამორჩილებული იქნებოდა ადამიანის შინაგანი სამყარო ენის გარეშე. მეტიც: ენის გარეშე არ იარსებებდა თვით ადამიანიც, რადგან ერთაფეროთი რამ, რაც ადამიანს იმთავითვე გამოარჩევს ცხოველთა სამყაროდა, ეს არის ენის მქონებლობა.

#8#

ყველაფერი დანარჩენი, რაც ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია ამჟამად, მთელი ცივილიზაცია ამის შედეგად არის შექმნილი.

ეროვნული ენისა და კულტურის ურთიერთდამოკიდებულების შესწავლა კარგა ხანია დაიწყო. ამჟამად ამ თვალსაზრისით ორი მიმართულებაა ყველაზე უფრო ცნობილი: ევროპული, რომელსაც სათავე ვ. ჰუმბოლდტმა დაუდო და რომელსაც დღეს ნეოჰუმბოლდტიანელები მისდევენ, და ამერიკული, რომელიც ე. სეპირისა და მისი თანამოაზრეების კონცეფციას ეფუძნება.

მოუხედავად ზოგი სხვაობისა ამ ორ მიმართულებას შორის როგორც კვლევის მეთოდების, ასევე მასალის ინტერპრეტაციის თვალსაზრისით, ძირითადი პრინციპი მათთვის საერთოა: ენა არის როგორც ეროვნული კულტურის შედეგი, ასევე მისი განვითარების, წინსვლის უპირველესი საშუალება.

ეს თვალსაზრისი არსებითად უპირისპირდება იმ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც ენა არის მხოლოდ კომუნიკაციის საშუალება. ენა რომ მხოლოდ კომუნიკაციის საშუალება იყოს, მაშინ არავითარი სხვაობა არ იქნებოდა ეროვნულ ენას, სარეკლამო ნიშნებსა თუ მათემატიკურ და ქიმიურ სიმბოლოებს შორის. მეტიც: სარეკლამო პირობითი ნიშნები, მათემატიკური და ქიმიური სიმბოლოები ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით უფრო ზუსტია და ცალსახა, ვინემ რომელიმე ეროვნული ენა.

გამოითქვა კიდევაც ასეთი თვალსაზრისი, რომელიც ერთ დროს საკმაოდ გავრცელებულის იყო: რეალურად ეროვნულ და ხელოვნურ ენებს შორის არავითარი

სხვაობა არ არის; ყველაფერი ის, რაც ეროვნულ ენას უკავშირდება, ანუ: ეროვნული მსოფლხედვა, ეროვნული მეობა, თვითშეგნება, სხვა ერებისაგან გამორჩევითობა, ყველაფერი ეს მეორეულია, დანამატია, რომელსაც თავისუფლად შეიძლება შეველიოთ.

საფუძველშივე მცდარია ეს მოსაზრება, უმნიშვნელოვანესი პრობლემის ზერელე განხილვის შედეგი.

#9#

მცდარია ის მოსაზრება, რომელიც სამყაროს, ადამიანთა საზოგადოების უზენაესი ჰარმონიის საფუძვლად ყველასათვის ერთი პრინციპის, ერთი შეხედულების, ერთი მისწრაფების მქონებლობას ვარაუდობს. აშკარაა, თუ რა მოსაწყენი, უფერული, სისხლ-ხორცისაგან დაცლილი იქნებოდა ასეთი სამყარო. ასეთი საზოგადოება, გარეგნულად ერთფეროვანი, ჰარმონიული, შინაგანად კოლოსალური წინააღმდეგობით იქნებოდა დამუხტული, რაც საბოლოოდ მის ნგრევას გამოიწვევდა. საქმე ისაა, რომ ყოველი არსებული არა მხოლოდ ისწრაფვის სხვასთან ერთობისაკენ, არამედ იმავდროულად მასში მოქმედებს სხვათაგან გამომრჩევი მძლავრი იმპულსიც. ერთობა ინდივიდუალური ნიშან-თვისების შენარჩუნებით — აი, ესაა ჭეშმარიტი ჰარმონიის პრინციპი. კაცობრიობის ისტორიაში არა ერთი და ორი მაგალითია იმისა, თუ როგორ ხდებოდა ხელოვნურად შეკოწიწებული ერთიანობის დაშლა ბუნებრივ ერთიანობებად. ნიმუშად ენის მაგალითიც გამოგვადგებოდა: ძალმომრეობით გავრცელებული ენა სულ მალე, 4-5 საუკუნეში (ეს კი ენისთვის ძალზე მცირე პერიოდია) დაშლილია ჯერ დიალექტებად, რომელთა საფუძველზე შემდგომ დამოუკიდებელი ენები ყალიბდებოდა; ლათინური, არაბული ენები თვალნათლივი ნიმუშებია ამისა: ლათინურის დაშლის შედეგადაა ჩამოყალიბებული ფრანგული, ესპანური, პორტუგალიური, რუმინული ენები; თანამედროვე არაბულის დიალექტების წარმომადგენლები ვერაფერს აგებინებენ ერთმანეთს...

ასე რომ, გონივრული, გააზრებული დამოკიდებულებაა საჭირო ამ საკითხისადმი, სურვილის მიხედვით ეს ურთულესი პრობლემა ვერ გადაწყდება, ობიექტური საფუძვლების გათვალისწინებაა აუცილებელი. სხვა მხრივ გარდაუვალია საბედისწერო შეცდომა.

და აი, მეორე ნიმუში, თუ როგორ შეუძლია გაუძლოს ბუნებრივმა ერთიანობამ საუკუნეების გამოცდას: თითქმის ოთხი საუკუნეა, რაც ფერეიდნელები თავის სამშობლოს მოწყვეტილი არიან, მაგრამ ეროვნული ერთიანობის თვითშეგნებამ დედაენაც შეუნარჩუნა მათ და „დიდი საქართველოსკენ“ გაუნელელებელი სწრაფვაც,

#10#

ენის დათმობა ერის გადაგვარების პირველი ნიშანია. ერის გადაგვარებით იწყება ეროვნული სულისკვეთების კვდომა, ეროვნული მსოფლხედვის ნგრევა.

სამწუხაროდ, ისტორიამ ბევრი იცის გადაშენებული ერების საბედისწერო ხვედრი, რომელთა აღგვა პირისაგან მიწისა ენის დაკარგვით დაიწყო.

ყოველი ასეთი ეროვნული კატასტროფა დიდი დანაკლისია ცივილიზაციისათვის: ყოველი ენის გაქრობა იმას ნიშნავს, რომ კიდევ ერთი სახელი მოაკლდა მზეს, სიყვარულს, დედას, რომ კიდევ ერთი ფერი დაკარგა სამყარომ, კიდევ ერთი ნათელი სხივი — ადამიანის სულმა.

სიძლიერე და სილამაზე მრავალფეროვნების ურთიერთშეხამებასა და ურთიერთშეთავსებულობაშია და არა სიცოცხლედაწრეტილ ერთსახოვნობაში: „სიმტკიცე სახელმწიფოსი, რაც გინდ დიდი და ძლიერი იყოს, უნდა ემყარებოდეს ერთსულოვნებაზე და არა ერთსახეობაზე, ერთფერობაზე“ — ბრძანებდა ილია.

ენის გასაოცარ თვისებას, სიტყვის ზემოქმედების ძალას თავიდანვე გრძნობდა ადამიანი. სიტყვა (ანუ: მეტყველება) სამყაროს საფუძვლად იქნა აღიარებული. სიტყვას დაუკავშირდა რწმენა ყოვლისშემძლეობისა, რამაც საფუძველი შეუქმნა

სიტყვის მაგიას; კერძოდ, ლოცვისა და კრულის ფორმულები სწორედ ამ რწმენითაა შეპირობებული. სიტყვის ძალის რწმენას უკავშირდება ტაბუც — აკრძალვა ამა თუ იმ სიტყვისა. ეს უძველესი რწმენა მხატვრულად აქვს ხორცშესხმული კ. გამსახურდიას: „ძველად ესმოდათ, რომ თქმა ქმნაზე უფრო დიდია, რომ თქმას დიდი მორიდება უნდა, სიტყვა ბევრ რამეს იწვევს, სიტყვა სულს იწვევს და სულიერს... ყოველი საგნის სახელი ჩაფერფლილ ვულკანსა ჰგავს. მიჩქმალულია და იდუმალი მისი შინაგანი ძალა ჟამის მოღწევამდის. მაგრამ უთუოდ არსებობს ბედითი წუთი... და ეს მაშინ მოხდება, როცა მისი უჩინარი შინაარსი მიწის გულში დაგუბებული ცეცხლივით გადმოსქდება. ჩვენ ხომ უცვლელი გვგონია ჩვენი სული, ჩვენი სხეული დაბადებიდან სიკვდილამდის. ეს მოჩვენებითი უცვლელობაა. ჩვენ

#11#

მუდმივ ფერისცვალებას განვიცდით და ამას უთუოდ საგნების ხსენება და შეხება იწვევს“.

უძლიერესია მართლაც, სიტყვის ძალა.

სულხან-საბა ორბელიანს ხატოვნად აქვს გადმოცემული ის, რასაც ენობრივ ეთიკას უწოდებენ. ყველას კარგად მოეხსენება მისი ერთ-ერთი იგავ-არაკი, „ენით დაკოდილი“ რომ ჰქვია. იგავ-არაკის დედაარსი ამ სიტყვებითაა გამოხატული: „შენის ცუდით დაკოდილი თავი გამიმთელდა და შენის ცოლის ენით დაკოდილი გული არაო“.

ჩვენ რომ მიმართვის ფორმად „ბატონო“ გვაქვს, არსებობის, მყოფობის გამოსახატავად „ბრძანდება“ და „გახლავს“ ფორმებს რომ ვიყენებთ, ეგ ყველაფერი ენობრივი ეთიკის სფეროს განეკუთვნება. ილიას ამასთან დაკავშირებითაც აქვს ერთი ფრიად საყურადღებო გამონათქვამი: „ჩვენ ყოველსფერში გავთავთავდით, აზრი და ყოველი საგანი გავითავთავეთ და სიტყვაც, რომელიც მარტო აზრისა და საგნის ნიშანია, გათავთავდა. ამიტომაც ჩვენი ენა კილოიანი გახდა, იგავიანი, ორპირი

შეიქმნა ისე, რომ ერთ და იმავე სიტყვას მრავალგვარი აზრი მიეცა. აბა, რა გითხრა იმისთანა, რომ შენ კილო არ გამოაბა? „მიირთვიც“ რომ გითხრა, ამ კარგს დარბაისლურს სიტყვას, თუ მოინდომებ, ცუდად ჩამომართმევ, თუ ნამეტნავად ზოგიერთი კაცის გულის გარყვნილებაში შენც წვლილი ჩაგიდვია. „შემობრძანდი“ რომ მითხრა, ხომ კაი სიტყვაა, ეგ ჩემზედ ჰკიდია, საწყენად მივიღო თუ სალხენად...”

სულიერი დაკნინება სიტყვათა დაკნინებასაც იწვევს. აზრის გადაგვარება სიტყვაში იჩენს უწინარეს ყოვლისა თავს. ეგ იმიტომ, რომ პიროვნების შინაგანი სამყარო ენით ვლინდება: მდარე ენა დაცემული, გახუნებული სულიერი სამყაროს მაუწყებელია.

ტალეირანს უთქვამს: ენა იმისთვის მაქვს რომ ჩემი აზრები დავფაროო. ამ ნათქვამში უფრო ენამახვილობაა, ვინემ გონებამახვილობა, რადგან სინამდვილეში ვერავინ წაუვა ენის საოცარ თვისებას: გამოამჟღავნოს პიროვნების სულიერი სამყარო.

#12#

ენის საშუალებით საზოგადოების ესა თუ ის ფენა სხვათაგან გამოცალკევებას რომ ცდილობს, ეს კარგად არის ცნობილი. გამოცალკევების ერთ-ერთ საშუალებას ჟარგონი წარმოადგენს. ჟარგონი სხვადასხვა სახის არსებობს, ერთ-ერთი მათგანია ასაკობრივი ჟარგონი, რომელიც უპირატესად ახალგაზრდებისათვისაა დამახასიათებელი. ახალგაზრდას უკვე ეძლება იმის სურვილი, რომ თავისი გამორჩეული ადგილი მოიპოვოს საზოგადოებაში და თავის ამ მისწრაფების გამოხატვას მეტყველებითაც ცდილობს. მაგრამ ჟარგონს, გარდა გამორჩეულობისა, მეორე მხარეცა აქვს: იგი კლავს პიროვნების ინდივიდუალობას და ყველასა და ყველაფერს ერთ უსახო მასად აქცევს. ეს კი უშუალო უკუზეგავლენას ახდენს ახალგაზრდის სულიერ სამყაროზე. ახალგაზრდას უთუოდ აქვს თავისი, საკუთარი, სხვათაგან განსხვავებული განცდა, შეგრძნება, მსოფლგაგება, მაგრამ მის გამოსახატავად შესაფერისი სიტყვები ვერ უპოვია. მაშინ იგი იოლ გზას ირჩევს და

ისევ და ისევ იმ სიტყვებს მოიხმარს, მის წრეში რომ ტრიალებს. თავდაპირველად, რა თქმა უნდა, იგი გრძნობს, რომ მის აზრსა და წარმოთქმულ სიტყვას შორის დიდი ზღვარია, მაგრამ თანდათანობით ეჩვევა იმ სიტუაციას, ინდივიდუალობის გრძნობა უჩლუნდგება, მერე კი მისი აზროვნებაც ამ სიტყვათა თარგზე აიგება და კიდევ ერთი ინდივიდი გახდება უსახური მასის უსახური ნაწილი.

ადამიანმა თავისი ადგილის მოპოვება საზოგადოებაში იმითი უნდა დაიწყოს, რომ თავის ინდივიდუალურ სულიერ სამყაროს შესაბამისი გამოხატულება მოუძებნოს. სხვა მხრივ იგი თავისი მეობის კვდომის საბედისწერო გზას ვერ ასცდება.

საზოგადოების დაკნინებას უცილობლად თან სდევს ენის დამცრობაც.

ასეთი რამ ხშირად განუცდია საქართველოსაც.

გადავავლოთ თვალი XV-XVIII საუკუნეების სიგელ-გუჯრებს და ენის გაღატაკების, გაუფერულების, სისხლსავსე ძარღვის დაშრეტის ნიმუშებს მრავლად წავაწყდებით. უთავბოლოდ შემოდის უცხოენოვანი ლექსიკა, განუკითხავად მახინჯდება ქართულისათვის ბუნებრივი სინტაქსური წყობა,

#13#

ვისაც როგორც სურს, ისე ლაპარაობს და ისე წერს. დაგლეჯილ-დაქუცმაცებული სახელმწიფოებრიობა, დაშლილი ერთიანობა, წვრილმან მისწრაფებებად დანაწევრებული სულისკვეთება უშუალოდ ირეკლება ენაში — ყველას თავისი კუთხის მეტყველება ჰგონია ერთადერთი მართებული, ყველას თავის თარგზე გამოჰყავს ენა. აღარსად დარბაისლური მეტყველება, აღარსად დედაენით სიამაყე, აღარსად გაფრთხილება აკვნიდან ნაზიარევი ენისა. და ენამაც უკუზეგავლენა მოახდინა საზოგადოების სულიერ წყობაზე. საჭირო გახდა თავდადებული ღვაწლი მთელი თაობისა, რომ ქართულ ენას დაებრუნებინა თავისი მიმქრალი დიდებულება, მინავლებული ბრწყინვალება და ქართული

საზოგადოებისათვის ჭეშმარიტად მამულიშვილური სულისკვეთებით მასაზრდოებელი გამხდარიყო.

ენის მოვლა, მისი დახვეწა და განვითარება ყოველი კულტურული ერის უპირველესი საზრუნავია. ამიტომაც ხდება ენა სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი.

ეროვნულ მონაპოვართა შორის ენა უმთავრესია, ხოლოს ენის დაცვა, დახვეწა და განვითარება უწინარეს პირობად გულისხმობს მართებული ენობრივი პოლიტიკის საფუძველზე ახალგაზრდობის, მომავალი თაობის აღზრდას.

ენა აზროვნების გამოვლინებაა. დახვეწილი ენა უშუალოდ განსაზღვრავს აზროვნების დახვეწილობას.

•

ქართულ სალიტერატურო ენას ხანგრძლივი ტრადიცია აქვს.

ქართულ წყაროებს არა ერთი და ორი ფაქტი შემოუნახავს იმისა, თუ რაოდენ განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ქართველების ცხოვრებაში ენის ფენომენს. ეროვნული ერთიანობის იდეა უპირველესად ყოვლისა სწორედ ერთიანი ენის ფაქტორით განისაზღვრებოდა.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს საკიხთი ტერიტორიული და სოციალური დიალექტების თაობაზე, ენობრივი პრობლემა ურბანიზაციის პირობებში,

#14#

სალიტერატურო ენის ნორმათა მართებული პრინციპების გამომუშავების საკითხი და სხვა.

•

ენა, ისევე როგორც ნებისმიერი მოვლენა, ორი ასპექტით განიხილება.

ერთია მისი შინაგანი, იმანენტური რაობა, შეპირობებული მისი ფორმოზივი და სემანტიკური სტრუქტურებით. ამ სტრუქტურათა მათსავე დინამიკაში გამოვლენა, მათ შორის მიზეზ-შედეგობრივ ურთიერთდამოკიდებულებათა გარკვევა, მათი ცვლილებებისა და განვითარების კანონზომიერებათა დადგენა არის ენათმეცნიერების ძირითადი ამოცანა.

მეორეა ენის დანიშნულებითი, გამოყენებითი (პრაგმატული) მხარე. ენის სწორედ ამ დანიშნულებითი ასპექტის განსაზღვრა, ენის გამოყენებითი ფუნქციების შესწავლა, ენის საზოგადოებრივი ღირებულების გარკვევა, ენის სოციალურ, საზოგადოებრივ პროცესებთან მიმართების, მასზე ამ პროცესების ზეგავლენისა და მის მიერ ამ პროცესების ასახვის კვლევა, ანუ: ზოგადად, ენის ჩამოყალიბების, არსებობისა და განვითარების სოციალური შეპირისპირებულობის შესწავლა აქვს მიზნად დასახული ენათმეცნიერების შედარებით ახლადჩამოყალიბებულ დარგს, რომელსაც სოციალურ ენათმეცნიერებას, ანუ სოციოლინგვისტიკას უწოდებენ.

ტერმინი „სოციოლინგვისტიკა“ პირველად გვხვდება ჰ. კარისთან, ნახსენებია მისი ერთ-ერთი შრომის სათაურშივე (1952 წელს), თუმცა პრინციპები „სოციოლოგიური ენათმეცნიერებისა“ ჯერ კიდევ 1929 წელს გაოიყენა ე. პოლივანოვმა.

რ. იაკობსონი უპირატესობას აძლევს ტერმინს „ენის სოციოლოგია“ და მიაჩნია, რომ „ენის სოციოლოგიის“ პრობლემები არ შეიძლება გატანილ იქნეს ენათმეცნიერების ფარგლებს გარეთ.

•

იყო პერიოდი, როდესაც ხალხი (შემდეგ — ერი) განისაზღვრებოდა სახელმწიფოებრივი ნიშნით. რომის იმპერიაში

ყველა რომელი იყო, თუმცა ეს იმპერია ეთნიკურად სავსებით განსხვავებულ ჯგუფებს მოიცავდა. რუსეთის იმპერიაში შემავალი ყველა ერი თუ ეროვნება, როგორც წესი, რუსად იწოდებოდა...

ამის პარალელურად გარკვეულ პერიოდში ეროვნულობის ნიშნად რელიგიური ფაქტორიც გამოდიოდა: კათოლიკე ქართველი „ფრანგი“ იყო, გრიგორიანელი ქართველი — „სომეხი“ და ა.შ.

ამ ბოლო ხანს კი ერის განმსაზღვრელად სულ უფრო დაბეჯითებით გამოიკვეთა ენის ფაქტორი.

რასაკვირველია, ეს ნიშანი ადრეც არსებობდა, საქართველოსათვის კი იმთავითვე არსებით ფაქტორად იყო მიჩნეული, რადგან, გარკვეულ ისტორიულ-პოლიტიკურ ვითარებათა გამო, საქართველოს ერთიანობას დვრიტად სწორედ ენობრივი კონსოლიდაცია ედო.

თვით ქრისტიანობის მძლავრობის პერიოდშიც კი, როცა ეროვნულობის ნიშანი არსებითად რელიგიურობის ნიშნით შეიცვალა, საქართველოს კონსოლიდაციის უპირველეს პირობად ისევ და ისევ ენა მიიჩნეოდა.

ამ მხრივ ნიშანდობლივია ის დიდი რწმენა, რომელიც X საუკუნის ჰიმნოგრაფის იოანე-ზოსიმეს სიტყვებით არის გამოხატული: „დამარხულ არს ენა ქართული დღედმდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რადთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა... და ესე ენაჲ შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისასა...“

ყველაფერი ეს ნათლად მეტყველებს, თუ იმთავითვე რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ერთიან საქართველოსათვის ერთიანი ქართული ენის მქონელობას.

შემთხვევითი არ არის საქართველოში ყურადღების ესოდენ ხაზგასმული გამახვილება ენის, საკუთრივ ენის ფაქტორზე...

ტერიტორია, ისევე როგორც ეკონომიკა, მხოლოდ ერთ-ერთი პირობაა ერის წარმოქმნისა და ჩამოყალიბებისათვის.

მაშინ, როდესაც ენა ერის არსის ძირითადი გამომხატველია.

#16#

ტერიტორია შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ ამით ერი არ დაკარგავს თავის ვინაობას.

საკმარისია შეიცვალოს ენა, რომ ერს თანდათანობითი გადაგვარება დაემუქრება.

მონათესავე (და ზოგჯერ არამონათესავე) ტომებისაგან ერის ჩამოყალიბებისათვის სახელმწიფოებრივი ერთიანობა უმნიშვნელოვანესი პირობაა მაგრამ თვით კონსოლიდაციის პროცესი იწყება მხოლოდ ერთიანი ენის არსებობის შემთხვევაში.

ენა, რომელიც პიროვნების სულიერი წყობისა და კულტურის უპირველესი გამომხატველია, იმავდროულად ეროვნული სულისკვეთების ნიშნით აღბეჭდავს ადამიანს.

რა თქმა უნდა, ენობრივი კონსოლიდაციისათვის აუცილებელი ხდება სავალდებულო ენობრივი სტანდარტების გამომუშავება, რადგან ერთიანი ეროვნული ენა ერთნაირად მისაღები უნდა აღმოჩნდეს ერის შემადგენელი სხვადასხვა ეთნიკური თუ სოციალური ჯგუფისათვის.

იმავდროულად ერთიანი ეროვნული ენის არსებობა არ გამორიცხავს მის პარალელურად ტომობრივი ენებისა თუ დიალექტების არსებობას.

•

თავისი დანიშნულებით ენა უპირველესად სოციალური ღირებულების მქონე ფენომენია. ეგაა მისი არსებითი, განმსაზღვრელი ნიშანი. ანტ. მეიე შენიშნავდა: ენის რაობის სრუყოფილი შეცნობა შესაძებელი ხდება მხოლოდ მისი სოციალური ბუნების გათვალისწინებით. მანვე სცადა ეჩვენებინა კავშირი ცივილიზაციის განვითარებასა და ენის ლექსიკური ფონდის ცვლილებებს შორის.

ამის კვალობაზე, ენა პიროვნების არა მხოლოდ ეროვნულ ვინაობას გამოხატავს, არამედ მისი საზოგადოებრივი ყოფის უმთავრესი ამსახველიცაა. ამიტომაც მიაჩნია შესაძლებლად უ. ლაბოვს ენის ამგვარი განამრტება შეოგვეთავაზოს: ენა არის საზოგადოებრივი მოქცევის ფორმა. მისივე აზრით, ენა არის ისეთი სტრუქტურა, რომელიც სოციალური

#17#

პროცესების ზუსტ რეგისტრირებას ახდენს, ოღონდ, ჯ. ფიშერის განმარტებით, „ხიდი ენობრივ და სოციალურ სტრუქტურებს შორის ფსიქოლოგიაში უნდა იქნეს პოვნილი“ — ივარაუდა ფსიქოლინგვისტიკის პრინციპების აუცილებელი მოშველიება სოციალური სტრუქტურების ენობრივ სტუქტურებზე ზეგავლენის ასახნელად.

რასაკვირველია, ვერც სოციალური (და ვერც გეოგრაფიული) ფაქტორები უშუალოდ ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენენ ენაზე. სოციალური (ასევე: გეოგრაფიული) პირობები უშუალოდ გავლენას ახდენენ ადამიანთა ყოფაზე, ეს უკანასკნელი ზემოქმედებს სულიერ წყობაზე, რომელიც, თავის მხრივ, განსაზღვრავს ცნობიერებას, ცნობიერება კი (გააზრებულად თუ ძალაუნებურად ანუ: აქტიურად თუ პასიურად) — ენის სემანტიკურ სტრუქტურას. ასე რომ, სოციალური (ასევე:

გეოგრაფიული) გარემო უშუალოდ ვერ მოქმედებს ენაზე, მაგრამ ზემოხსენებული გამაშუალებელი საფეხურების გზით კი უცილობლად აისახება ენაში.

ამიტომაც სოციალურ ფაქტორთა ძიება ენაში სავსებით კანონზომიერად შეიძლება ჩაითვალოს.

•

სოციოლინგვისტიკის ზემოხსენებული პრობლემები იზოლირებულად არ დაისმის. ეს არ ნიშნავს სოციოლინგვისტიკის პრობლემათა იმანენტური განხილვის შეუძლებლობას. პირიქით, ყოველი მოვლენის შესწავლის უპირველესი პირობა სწორედ მისი იმანენტური განსაზღვრაა მაგრამ იმავდროულად დაისმის და გადაწყვეტას საჭიროებს მასთან მჭიდროდ დაკავშირებული მთელი რიგი საკითხებისა: ა) ეროვნული ენის პრობლემა, ბ) სალიტერატურო ენის პრობლემა, გ) საერთაშორისო ენის პრობლემა, დ) ენა და პიროვნება, ვ) ენა და საზოგადოება, ვ) ბილინგვიზმისა და პოლილინგვიზმის პრობლემა...

სოციოლინგვისტიკის კვლევის საგანია სხვადასხვა სოციალური ფენის მეტყველებაც.

#18#

„სოციალური ფენა“ აქ ნახსენებია ფართო გაგებით: იგი მოიცავს არა მხოლოდ საკუთრივ სოციალურ ფენებს, არამედ აქ გასათვალისწინებელი ხდება პროფესიული, ასაკობრივი, განათლებრივი, მიგრაციული და სხვა მისთანა ფაქტორებიც.

•

განსაკუთრებით მრავალფეროვან სურათს იძლევა ენობრივი კოლექტივის სოციოლინგვისტური შესწავლა ურბანიზაციის პირობებში. აქ, ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო რელიეფურად, გამჭვირვალედ, მთელი თავისი ნაირსახეობით

წარმოდგება ყველა ის საკითხი, რომელიც სოციოლინგვისტიკის კვლევის სფეროში შემოდის.

ნებისმიერი ქალაქისათვის, როგორც წესი, ნიშანდობლივია:

1. ერთი ერის სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა თავმოყრა.
2. უცხო ეროვნების წარმომადგენელთა მყოფადობა.

შესაბამისად აისახება ეს ფაქტორი ქალაქის მეტყველებაშიც, ანუ: ქალაქური მეტყველებისათვის დამახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ:

1. სხვადასხვა დიალექტურ მეტყველებათა თავმოყრა,
2. უცხოენოვანი მეტყველების არსებობა.

ჯერ კიდევ 1876 წელს ა. დევლო შენიშნავდა: „საფრანგეთში ფრანგულად ლაპარაკობენ, მაგრამ პარიზში ისმის არგო, რომელიც ყოველ კვარტალში, ყოველ ქუჩაზე იცვლება. რამდენი პროფესიაცაა, იმდენი ჟარგონია“.

ძველი ქალაქისათვის ნიშანდობლივი ეს თავისებურება ერთ პერიოდში დამახასიათებელი იყო თბილისისთვისაც. ეს პერიოდი ამჟართა თბილისზე მოდის, როდესაც ხელობის მიხედვით იყო თბილისის უბნები განსახლებული. „ბამბის რიგი“, „რკინის რიგი“ და ამ ტიპის ძველი ტოპონიმები სწორედ ამის მაუწყებელი გახლავთ.

ქალაქისათვის საერთოდ დამახასიათებელია პოლილინგვიზმი, მით უმეტეს ისეთ ქალაქისათვის, როგორიც თბილისია.

#19#

ქალაქის მეტყველებაზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენს პროფესიული ჟარგონიც, რომელიც განსაკუთრებით მკვეთრადაა წარმოჩენილი XVIII და XIX საუკუნეების თბილისურ მეტყველებაში.

XVIII საუკუნიდან ფაქტობრივ ყალიბდება თავისებური „ზედიალექტი“ — თბილისის ქართული, შეზავებული აღმოსავლური (არაბულ-სპარსულ-თურქულ-სომხური) ლექსიკით, ფრაზეოლოგიით, ხშირად სინტაქსური კონსტრუქციებითაც და მორფოლოგიური ყალიბებითაც კი. ბაზისი ამ თავისებური, თბილისური, ქალაქური ქართულისა ქართლ-კახურია, მაგრამ იმავდროულად მისგან საკმაოდ განსხვავებულიცაა. ეს ქალაქური მეტყველება ნაკლებ, შეიძლება ითქვას, თითქმის არ ასახულა XVIII საუკუნის ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში, რადგან ამ პერიოდის ქართველი მწერლები ინარჩუნებდნენ ძველქართულ ლიტერატურულ ტრადიციებს. ამიტომაც თბილისური მეტყველების თავისებურებებზე გაკვეთლ წარმოდგენას მხოლოდ იმ პერიოდის სიგელ-გუჯრები, ნასყიდობის ხელწერილები, თამასუქები და სხვა მისთანა დოკუმენტაცია თუ შეგვიქმნის.

თვალის ერთი გადავლებითაც ხელშესახებად წარმოჩნდება თბილისური მეტყველების ევოლუცია.

აი, რამდენიმე ნიმუში ამისა:

XVI საუკუნის დასაწყისი (სავარაუდოა 1505-1525წწ.).

დავით მეფის შეწირულების წიგნი სიონის ტაძრისადმი (ამონარიდი):

„...შეიწირე შენ, წმინდაო და მარდის ქალწულო მარიამ, და ნაცვალგვაგე მეოხება შენი დღესა მას გაკითხვისასა. ხოლო მღვდელმთავარი თქვენი, ტფილელ მთავარ-ეპისკოპოსი და ყოველნი მისნი კრებულნი დღესასწაულსა მიცვალებისა თქვენისასა ცოდვათა ჩუენთათვის წირვითა და ლოცვით, პანაშვიდით აღაპს გარდაიჭდიდენ აგვისტოს იე. ამას ნუ დაგვაკლებენ ხოლო უკეთი თავკედლობით. გინა მძლავრობით ინებოს ვინმე გამოკვება და მოშლა ამისი, მეფემან ანუ დიდებულმან, ქრისტიანმან ანუ სხვამ რჯულმან, მასმცა რიცხავ დამბადებელი ღთ̃ი და ყოველნი მისნი წმინდანი ზეცისა და ქვეყანისანი“.

მცირეოდენი გამოკლებით აქ დაცულია ქართული სალიტერატურო ენის ტრადიციული ლექსიკა და სტილი.

XVI საუკუნის შუა წლები (1540 წ.), სითარხნის წიგნი, მიცემული ლუარსაბ მეფისაგან ტფილელის ყმებისადმი (ამონარიდი):

„...მოვიდა და იაჯა თქუენისა საყდრისა მპყრობელი, კაცი სათნო ღთ~ისა ტფილელ მთავარეპისკოპოსი დომენტი, პირველი გაშვებულობისა და თარხნობისა სიგელნი მიგართვნა და აწ ჩუენ კულად განვახლეთ და შემოგწირეთ და მოგახსენეთ ღალა პურისა და ბამბისა, რასაცა საყდრის შვილნი და თქუენნი ყმანი ჰკნევდნენ, მისა ღალასა ტფილელი აიღებდეს წარსამართებელად მეფობისა ჩუენისა და სულისა ჩუენისა სამლოცველოდ...“.

ამ შემთხვევაშიც არსებითად დაცულია ოფიციალური დოკუმენტაციის ტრადიციული სტილი, ანუ: აქაც ისეთ ქართულთან გვაქვს საქმე, რომელიც თბილისური მეტყველების სპეციფიკად ვერ ჩაითვლება, ეს არის საერთო ქართული — ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მეტ-ნაკლები დაცვით.

მაგრამ სურათი თანდათანობით იცვლება.

XVII საუკუნის დასაწყისისათვის უკვე ჩნდება ის ნიშნები, რომლებიც შემდგომ, გარკვეული წლების მანძილზე, თითქმის XX საუკუნემდე, დამახასიათებელი აღმოჩნდა თბილისური ქართულისათვის; მართალია, ძირითადად თბილისის მხოლოდ გარკვეული ფენის წარმომადგენელთათვის, ხოლო XX საუკუნის 20-იან წლებიდან სავსებით გაქრობის გზას ადგება.

XVIII საუკუნის დასაწყისი (1615-1619). ბრძანება ბაგრატ მეფისა ქალაქის მელიქისა და მამასახლისისადმი (ამონარიდი):

...,იმედო ქალაქის მელიქო და მამასახლისო. მერმე, რც ქალაქს სუეტის ცხოველის ყმა იყოს, ბაშლამს ნუ სთხოვთ. რარიგადაც სუეტის ცხოველისათვის ემსახუროს, ისრევე მსახურონ და იმრიგადვე თარხანი იყვნენ“...(გვ. 9).

რა თავისებურება ახასიათებს ამ ტექსტს, რა არის ის სპეციფიკური ნიშანი, რომელიც თბილისურ ქართულზე მიგვანიშნებს?

#21#

ქართულ-კახურისათვის დამახასიათებელი მორფოლოგიური და სინტაქსური წყობა და აღმოსავლური ენებიდან შემოსული ლექსიკა.

ის, რაც ცალკეული სიმპტომების სახითაა ამ ტექსტში მოცემული, დროთა განმავლობაში სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს და ქალაქური მეტყველებისათვის ერთ-ერთი ნიშანდობლივი მოვლენა ხდება.

1639 წ. როსტომ მეფის „ყანუნ-ლამა“ (ამოანრიდი):

„ქ. ნებითა ღვთისათა ჩუენ, მეფეთ მეფემან, ჳელმწიფემან პატრონმან როსტომ ესე ყანუნლამა და ციხის კარის ფული(ს) საქმე ასრე გავარიგეთ და გავაჩინეთ ბედნიერის ყაენის რაყმის საქმითა. ვითაც შაჰმირ მირზაშის დროს ცუდიმადი კაცი, ვინც მოხუდებოდა ყაფი ფულზედ, უდიერს საქმეს იქმოდეს და ნიადაგ მოქალაქე და უცხო მგზავრი კაცი ირჯებოდა. აწ ამისი ჳელმწიფის ბრძანებით ასრე გავარიგეთ: უნდა აიღებოდეს ყაფი ფულად აბრეშუმის საპალნეზესა შაური ერთი, ფართლის საპალნეზედ ნახევარ შაური...“ და ა.შ.

თუ ტრაფარეტულ დასაწყისს და ორიოდე ფორმას არ მივიღებთ მხედველობაში, აქ არსებითად ისევ და ისევ ქართლურ-კახურ გრამატიკასა და აღმოსავლურ ლექსიკასთან გვაქვს საქმე, ოღონდ ლექსიკა გაცილებთ უფრო უხვად და, შეიძლება ითქვას, დაურიღებლადაც არის მოხმობილი.

ჩვენ განგებ მოვიტანეთ მაგალითები მეფეთა ბრძანება-წერილებიდან. სამეფო კანცელარია ყველა ეპოქაში ოფიციალური, სალიტერატურო ენის ნორმების ერთ-ერთი უპირველესი კანონმდებელი და დამწერგავი იყო. და როცა შედარებით ხანმოკლე პერიოდში ხელშესახები ცვლილებები აქაც კი დაჩნდება, ადვილი მისახვედრია, რაოდენ სწრაფი იქნებოდა ამგვარი ცვლილებანი უფრო დაბალ ფენებში, სადაც სალიტერატურო ენის წესებს ნაკლებ შემზღუდავი ძალა ჰქონდა.

აი, მაგალითად, ამონარიდი 1719 წლის 11 მარტის ნასყიდობის წიგნიდან:

„პროდენს დამეჭირა და ციხის თათრისაგან ალიჩალაბისაგან ნასყიდი ერთი დუქანი რასტაბაზარში, მირიმანთ ზურაბას შვილის გასპარას დუქნისა და ჰექიმი მკრტუმას დუქნის

#22#

შუა, რომ სარაჯო ბეროამ რომ ზის, თავისის უკანა ოთახითა, გასყიდვა მოვინდომე. მოვედით ჩვენ ჩვენის ნებითა და ჩვენის წადილობითა შენთანა და ეს ჩვენი ალალი ნასყიდი დუქანი თავის ძველი სიგლითა შენთან მოგყიდე და გამოგართვით ფასი ღირებულათ და უკლებლით, თამამ-ქამალათა, რითაც ფერად ჩემი გული შეგნით შეჯერდებოდა...“

აქ უცხოენოვანი ელემენტები უკვე სინტაქსშიც დაჩნდება.

ამონარიდი 1722 წლის 29 აგვისტოს განჩინებიდან:

„...ამას წინათ ვეზირი ყიასა ყაიბულაშვილი იმამვერდას და სუფრაჯის იმამყულის შვილს ბარხუდარას თავის აბანოზედ შეშარიქებოდა...“.

ამ ხანის სიგელ-გუჯრებში სულ უფრო უხვად იჩენს თავს სხვა ეროვნებათა წარმომადგენლების ქართული მეტყველების თავისებურებანი.

ამონარიდი 1752 წლის 3 ივნისის ნასყიდობის წიგნიდან:

„...ესე ნასყიდობის წიგნი მოგვეცი მე, ჩითახანთ მელიქოას შვილი ჩითახამ, შენ, თუმანიანთ იასეს შვილი პაპოას; (ა)სე რომ ყარაბუდაღს დაღისტანში ერთი თათრის ბიჭი, ბაიდრელი, ალა სახელათ, მეყიდნა, ათი თუმანი და შვიდი მინალთუნათა...“

1752 წლის 2 ივლისის გასამყრელო:

„...გავიყარენით ჩვენ, უმაკანთ სტეფანის შვილებმა, ოსეფამ და გიორგამ...“

XIX საუკუნეში ანალოგიურ სიგელ-გურჯებში უკვე რუსიციზმების მოჭარბება შეინიშნება.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება იმის თქმა, რომ ამ პერიოდში ქართული გლობალურად ამ სახისა იყო და მთლიანად ამგვარ ტენდენციას ექვემდებარებოდა.

იმავე პერიოდში საკმაოდ ხშირად გვხვდება კლასიკური ქართულის ნორმების შესაბამისად დაწერილი სიგელ-გურჯებიც, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს დახვეწილი ქართული მცირერიცხოვან მწიგნობართა პრივილეგიას წარმოადგენდა და თბილისის ლინგვისტურ სახეს მაინც ნაირგვარი ჟარგონების სიუხვე განსაზღვრავდა.

#23#

ამის კვალობაზე, ენობრივი კრიზისი ყველაზე უფრო თბილისურ მეტყველებას დაეტყო, რადგან ქართული ენის კილოებს შინაგანი პოტენცია ულევად ჰქონდათ და, მართალია, სტიქიურად, მაგრამ მაინც ბუნებრივი გზით ვითარდებოდნენ.

სწორედ ცოცხალი კილოების ტენდენციების შესისხლხორცება გადაარჩენდა თბილისურ ქართულს სრული გადაგვარებისაგან.

ეს პროცესი XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო თერგდალეულთა მესვეურობით.

ეს ის პერიოდია, როცა თბილისურ მეტყველებაში ინტენსიურად დაიწყო შემოსვლა ქართული ენის დიალექტებისათვის დამახასიათებელმა მოვლენებმა.

თბილისურმა ქართულმა ახალი საყრდენი ჰპოვა თავისი განვითარებისათვის და თანდათანობით დათმო ძველი გეზი, რომელიც, როგორც ეგზოტიკური ფენომენი, ძველი თბილისის უბნებსდა (კალაუბანს, ხარფუხს, ავლაბარს) შემორჩა მხოლოდ.

რასაკვირველია, არ იქნებოდა სწორი, თბილისური ქართულის იმდროინდელი თავისებურება მარტოდენ აშუღური პოეზიის ან აღმოსავლური წარმოშობის ფენომენის მომძლავრებით აგვეხსნა. პოეტები თბილისს არც ადრე აკლდა. თანაც იყო მთელი ათწლეულები, როცა თბილისი არაქართველი მმართველების ხელში იყო, მაგრამ ამას რაიმე მკვეთრი ზეგავლენა თბილისურ ქართულზე არ მოუხდენია (ყოველ შემთხვევაში, არსებული დოკუმენტებით ეს არ ჩანს).

თბილისური ქართულის სპეციფიკური თავისებურებანი თბილისის ინდუსტრიალიზაციის პროცესთანაა უშუალოდ დაკავშირებული, ხელოსნობის, ვაჭრობის ინტენსიურ განვითარებასთან. ქალაქში თავს იყრიდა საქართველოს სხვადასხვა ეთნოგრაფიული მხარის წარმომადგენლობა, მრავლად იყო არაქართველი მოსახლეობაც. აღმოსავლეთის ქვეყნებიდან მოსულ ვაჭრებსა და ხელოსნებს უხვად შემოჰქონდათ უცხოური ტერმინოლოგია. სხვაობამ გარკვეულად გრამატიკულ სტრუქტურებშიც იჩინა თავი.

სოფლურმა (გლეხურმა) მეტყველებამ, რომელიც ძირითადად თბილისის მახლობელი სოფლებიდან შემოდიოდა, და

#24#

ქალაქურმა (ხელოვნურმა) მეტყველებამ მოგვცა ფრიად თავისებური სინთეზი, კონგლომერატი თბილისური მეტყველებისა, რომელსაც ძირს საკუთრივ ქართული წარმონაქმნი უმაგრებდა, ხოლო იერი აზიური ქალაქისათვის დამახასიათებელი ჰქონდა.

ქართული რომანტიზმის ეპოქიდან ისახება თბილისის ევროპეიზაციის ტენდენცია, რაც თავისებურ გამოძახილს პოულობს თბილისურ მეტყველებაშიც, თუმცა მასში ჯერ კიდევ ჭარბობს ადმოსავლური ყაიდის საწყისები.

ქართული დიალექტური საწყისებისაკენ მობრუნება და, იმავდროულად, განუხრელი ევროპეიზაციის ტენდენცია XIX საუკუნის 60-იან წლებზე მოდის. სწორედ ამ ტენდენციამ, ამ მიმართულებამ განსაზღვრა ახალი სალიტერატურო ქართული ენის ჩამოყალიბება.

•

რა თეორიული თუ პრაქტიკული საკითხები უნდა გადაიჭრას მართებული ენობრივი პოლიტიკის გასატარებლად?

რასაკვირველია, არავითარ შედეგს არ გამოიღებს მხოლოდ სასურველი პირობებისათვის გათვალისწინებული მოთხოვნების წამოყენება. ძიება უნდა წარიმართოს არსებული ვითარების შესაბამისი ოპტიმალური საშუალებების გამოყენების გზით ქართული ენის სიწმინდისა და თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად.

ეს არ ნიშნავს (და არც შეიძლება ნიშნავდეს) ქართული ენის იზოლირებას. პირიქით, იზოლირება აუძლურებს ენას, სხვა ენებთან გონივრული ურთიერთობა კი ამდიდრებს და, იმავდროულად, თვითშენარჩუნებისათვის საჭირო იმუნიტეტს გამოუმუშავებს მას.

ჯერ კიდევ 1892 წელს ა. ნორენი ამტკიცებდა, რომ ენა ემორჩილება ადამიანის კონტროლს, რომ შესაძლებელია ენის განვითარების ტენდენციის გონივრული წარმართვა.

უფრო ადრე 1874 წელს, შვედი ენათმეცნიერი ე. ტეგნერი აღნიშნავდა: ყველაზე უკეთესია ის ენა, რომლითაც ადვილად გამოიხატება აზრი და ეს გამოხატული აზრი ადვილად გაიგებაო.

#25#

შეიძლება დავეთანხმოთ ან არ დავეთანხმოთ ამ კონკრეტულ მოსაზრებებს, მაგრამ ერთი რამ კი აშკარაა: ენა საჭიროებს გონივრულ ჩარევას, მისი დახვეწისათვის აუცილებელია მართებული ენობრივი პოლიტიკის გამოძუშავება. ენათმეცნიერი არა მარტო ენაში არსებულ კანონებს უნდა ეძიებდეს და იკვლევდეს, არამედ აღმოჩენილ კანონთა საფუძველზე უნდა ქმნიდეს და წარმართავდეს ენის შემდგომი განვითარების გეზს.

ანუ: აუცილებელია ენის განვითარების პროგრამირება.

მაგრამ შეუძლებელია ამ პროგრამირების ძალდატანებით თავზე მოხვევა. ენამ უნდა მიიღოს შემოთავაზებული.

თანამედროვე სოციოლინგვისტიკის მონაპოვრები შესაძლებლობას იძლევიან წარმატებით იქნეს გადაწყვეტილი ეს რთული და მნიშვნელოვანი ამოცანა.